

საოკუპაციო ხაზთან მდებარე ორ სოფელში ანსამბლ „ბასიანის“ კონცერტები ჩატარდა

30 ივლისი 2019

ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელს დირბსა და კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სამთავისში ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლ „ბასიანის“ კონცერტები ჩატარდა. ღონისძიებას ადგილობრივებთან ერთად შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ხოჯევიანიშვილი, რწმუნებულის მოადგილე ნუგზარ სამხარაძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები დაესწრნენ. „რეგიონის სოფლები, განსაკუთრებით კი ისინი, რომლების საოკუპაციო ხაზთან მდებარეობენ, არ არიან განებივრებული კულტურულ-შემოქმებითი ღონისძიებებით, ამიტომ სამხარეო ადმინისტრაცია აქტიურადაა ჩართული ინიცირება გაუწიოს სხვადასხვა სახის შემოქმედებით საღამოს, რათა მოსახლეობისთვის ადგილზევე ხელმისაწვდომი იყოს ღონისძიებებზე დასწრება. სულ რამდენიმე კვირის წინ ჯგუფს „სახე“ მეჯვრისხვევა უმასპინძლა, „ბასიანს“ კი დირბმა და სამთავისმა, მადლობას ვუხდით ჩვენს შემსრულებლებს, თანადგომისთვის“ - აღნიშნა გიორგი ხოჯევიანიშვილმა.

ღონისძიების მიზანს საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ შემსრულებლები კონცერტებს უსასყიდლოდ ატარებენ.